№2 (9897) ◆ თებერვალი, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

2023 წელი სიახლეებს გვთავაზობს

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში სამინისტროების რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებთან გამართული სამუშაო თათბირი სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** 2022 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმოხილვით დაიწყო. განაცხადა, რომ შარშან რეგიონში განხორციელდა 37 მილიონი ლარის 400-ზე მეტი პროექტი. კიდევ უფრო მასშტაბურია ის პროექტები და პროგრამები, რომლებიც განხორციელდება 2023 წელში. კერძოდ, გაგრძელდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის **„განახლებული რეგიონები“** ფარგლებში რეგიონის მასშტაბით მე-2 ეტაპის სამუშაოები, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს ოთხივე მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ცენტრების ურბანულ იერსახეს და ხელს შეუწყობს სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტების და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების განვითარებას.

დაანონსდა აგრეთვე ის მნიშვნელოვანი სიახლეები, რომლებიც განხორციელდება რეგიონის მასშტაბით სამედიცინო, საგანმანათლებლო, სპორტული და სხვა სფეროების მიმართულებით. მათგან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სასიამოვნო ინფორმაციაა იმის თაობაზე, რომ ქალაქის სკოლების ბაზაზე იხსნება საგამოცდო ცენტრი და ეროვნულ გამოცდებზე კუთხის ახალგაზრდებს აღარ დასჭირდებათ დედაქალაქში ჩასვლა. ასევე ახალი სამედიცინო სერვისების ამოქმედების მიზნით დაიწყო ამბროლაურის საავადმყოფოში სტაციონარის სტანდარტებში მოყვანა-აღჭურვის პროცესი. ასევე აქაურებს ეძლევათ საშუალება ისარგებლონ ონის საავადმყოფოში გახსნილი საჩხერის საავადმყოფოს ფილიალის მომსახურებითაც. პროექტი მზადაა და დაიწყება ამფითეატრის მშენებლობა, გაგრძელდება დაწყებული ასფალტო-ბეტონის საფარიანი სასოფლო გზების მოწყობის მე-2 ეტაპისა და ახალის დაწყების სამუშაოები, ტურიზმის სექტორის განვითარება და სხვა.

სამუშაო თათბირი რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა სფეროებში არსებული ვითარების გაცნობით გაგრძელდა. სამხარეო სამსახურების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ინფორმაციები საკურატორო სფეროებში არსებული სიტუაციის შესახებ. საუბარი შეეხო ისეთ თემებს როგორიცაა: ტყეკაფებამდე მისასვლელი გზებისა და საქმიანი ეზოების მოწესრიგება, საგაზაფხულო სამუშაოები, ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის მოვლის მეთოდები, ნაგვის გადამტვირთველის მოწყობა, გაზმომარაგების, მთიან სოფლებში იუსტიციის მოძრავი სახლის ამოქმედების, უპატრონო ძაღლებისა და სხვა საკითხები.

შეხვედრაზე, რომელიც ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, დაისახა კონკრეტული გეგმები სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალური და რეგიონული სამსახურების კოორდინირებული მუშაობით, არსებული საკითხების გადასაჭრელად.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – **ასლან საგანელიძე** და მერი **ზვიად მხეიძე**.

საკონსულტაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ონლაინ რეჟიმში, სახელმწიფო რწმუნებულმა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში **პაპუნა მარგველიძემ** მოისმინა რეგიონის მუნიციპალიტეტების (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) საკრებულოს თავმჯდომარეებისა და მერებისაგან დეტალური ინფორმაცია უამინდობით შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მათთან ერთად იმსჯელა მოსახლეობის დასახმარებლად გასატარებელ იმ საჭირო ღონისძიებებზე რაც უზრუნველყოფს უმოკლეს პერიოდში საგანგებო სიტაციის დარეგულირებას მხარეში. აღინიშნა, რომ რეგიონში უხვი ნალექის შედეგად შექმნილი საგანგებო სიტუაციის დასაძლევად ტარდება ყველა აუცილებელი ღონისძიება. კერძოდ ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საავტომობილო და შიდა სასოფლო გზების გაწმენდა, ხოლო ელექტროენერგიის მისაწოდებლად დაზიანებულ უბნებზე აღდგენითი სამუშაოები.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე განიხილულ იქნა აგრეთვე ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)“ – ფარგლებში (ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება – GIZ), გამოცხადებულ საპროექტო იდეების კონკურსზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილი პროექტის საპროექტო განაცხადი, რომელიც ერთხმად იქნა მოწონებული საკონსულტაციო საბჭოს ყველა წევრის მიერ.

თებერვლის დიდთოვლობის ჟრიამულში

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, მცირე შეფერხებების მიუხედავად, იანვარში მოსულმა თოვლმა გაახარა კიდეც, მიწას სჭირდებოდაო, მაგრამ მთელი საქართველოს მასშტაბით თებერვალში ინტენსიური თოვისა და დიდთოვლობის გამო მართლაც შეიქმნა სერიოზული პრობლემები როგორც შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო, ისე სასოფლო თუ საუბნო გზებზე გადაადგილების, ისე ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდებაში.

ოპერატიულად კი იქნა დაწყებული სპეციალური ტექნიკით სასოფლო და საუბნო გზების გაწმენდითი და დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზებისა თუ ძელების აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ მდგომარეობას ართულებდა რთული მეტეოროლოგიური პირობები. გაწმენდილი გზები თუ ქუჩები ინტესიური თოვის გამო ერთ-ორ საათში ისევ გასაწმენდი ხდებოდა. მძიმე თოვლმა დააზიანა საცხოვრებელი სახლები, მოითხარა ხეები, დაწყვიტა ელექტრო გადამცემი ხაზები, წააქცია საყრდენები. ავარიული დაზიანებების გამო მუნიციპალიტეტის ყველა თემს შეუწყდა დენის მიწოდება. ადგილობრივ ბრიგადებთან ერთად ელექტროენერგიის სრულად აღდგენის სამუშაოებში ჩაერთვნენ „ენერგო პრო ჯორჯიას“ დამატებითი ოპერატიული ჯგუფები. ფაქტიურად, თოვლწმენდის სამუშაოები 24 საათიან რეჟიმში უხდებოდათ შესაბამისი თუ სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლებსა და მობილიზებულ ჯგუფებს, როგორც ქ. ამბროლაურში ისე მუნიციპალიტეტის სოფლებში. ძალზე რთულ პირობებში, ფეხით უწევდათ გადაადგილება სასწრაფო დახმარების ბრიგადებს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, სტიქიასთან ბრძოლაში, თავი გამოიჩინეს მაშველებმა. თავისთავად დიდი იყო დატვირთვა იმ მძიმე ტექნიკაზე, რომელიც საგზაო დეპარტამენტმა წააშველა რეგიონს, რომლებიც საჭიროების მიხედვით იქნა გადანაწილებული მუნიციპალიტეტებზე.

როგორც სამხარეო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები თანამშრომლებთან და დეპუტატებთან ერთად მთის სოფლების მოსახლეობასთან ერთად ჩართული იყვნენ იმ საუბნო გზების გაწმენდაში, რომლებიც გაუვალი იყო თოვლისაგან მოტეხილი ხეებითა თუ ტოტებისაგან.



რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო შექმნილი დისკომფორტი ძირითადად დაძლეულია. ცხადია, მთლიანად აღმოფხვრისათვის მუშაობა გრძელდება. ამ დაძაბული და მძიმე შრომის ფონზე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მცირე გამონაკლისთა განსხვავებით, მოსახლეობის უმრავლესობას მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება აღმოაჩნდათ.

ცნობილია, მაგრამ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მაინც შევახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობა ევროკავშირის დაფინანსებით ქვეყნის ოთხ რეგიონში (კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი) ახორციელებს „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამას“, რომლის ფარგლებში, ქალაქ ამბროლაურში რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა მდ. კრიხულას სანაპიროს კეთილმოწყობა.

პროექტის სამუშაოები, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 4 553 220 ლარი, დასრულდა და მაჟორიტარმა დეპურატმა **გოჩა ენუქიძემ**, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულ **პაპუნა მარგველიძესთან**, რწმუნებულის პირველ მოადგილე **ქრისტინა კობახიძესთან**, მუნიციპალიტეტის მერ **ზვიად მხეიძესთან**, საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძესთან** და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად დაათვალიერა.

ტერიტორიაზე მოეწყო რეკრეაციული ზონა, სხვადასხვა ტიპის მოსასვენებელი სივრცეები, ველობილიკი, საფეხმავლო ხიდი; დაიდგა მხარის სახელწოდების აღმნიშვნელი ორენოვანი კონსტრუქცია; დამონტაჟდა გარე განათების ქსელი, სკამები და სხვა საბაღე ინვენტარი; დაიგო დეკორატიული ფილები, აგრეთვე ჩატარდა გამწვანების სამუშაოები.

აღნიშნულ ტერიტორიაზე გამოყოფილია ადგილები, სადაც მიმდინარე წლის ზაფხულში იგეგმება გასართობი სივრცეების და ისეთი საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოწყობა, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით აქვს ანალოგიური ტიპის ქსელები.

სამომავლოდ კვლავ გაგრძელდება სხვადასხვა სახის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც სრულად მოხდება სივრცეების დანიშნულებისამებრ ათვისება და საბოლოო ჯამში ე.წ. „სანაპიროს“ სახით მივიღებთ როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის ერთერთ მიმზიდველ ადგილს ჩვენს ქალაქში.



არჩევანი გაკეთებულია, მთავარია პასუხისმგებლობა

2023 წელს „სოფლის მხარდამჭერი“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულია 734 000 ლარი.

პროექტების შერჩევის პროცესი წინასწარ შედგენილი გრაფიკით დაიწყო 26 იანვარს და დასრულდა 6 თებერვალს. მუნიციპალიტეტის 69 დასახლებულ პუნქტში გამართულ შეხვედრებზე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, მერის, მათი მოადგილეებისა და სამუშაო ჯგუფის წევრების თანამონაწილეობით, მოსახლეობამ ხმათა უმრავლესობით შეარჩია ის პროექტები, რომელთა განხორციელება მოაგვარებს ერთი შეხედვით თითქოს მცირე თანხიან, წვრილმან საკითხს, მაგრამ სოფლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემას.

ე.ი. პრიორიტეტებად კვლავ რჩება გარე განათების მოწყობა, შიდა გზების რეაბილიტაცია, წყალსადენი სისტემების მოწესრიგება, სანიაღვრე არხების გაკეთება და კონკრეტული სოფლისათვის მნიშვნელოვანი სხვა მიმართულებები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში თითოეულ სოფელში 10 ათასიდან 16 ათას ლარამდე ღირებულების ის მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდება, რომლებიც განსაზღვრულია მთავრობის შესაბამისი დადგენილებით.

თანამშრომლობით ყველა პრობლემა დაძლევადია

ძვირფასო მკითხველო, მოცლილობის ჟამს, უბნების მიხედვით, თავმოყრა და ტყუილ-მართალზე საუბრის ჩვევა არ მოშლილა. ჭორ-მართალში გარკვევის მიზნით მოქალაქეები სტუმრობით თუ მობილურის საშუალებით ხშირად რედაქციასაც აკითხავენ. რადგან გაზეთის პერიოდულობა და ფორმატი არ იძლევა დასმულ კითხვებზე ვრცელი პასუხების გაცემის საშუალებას და თანაც ხშირად ბრალს გვდებენ ადგილობრივი ხელისუფლების მაამებელ მასალებს ბეჭდავთო, მართებულად მივიჩნიეთ სარედაქციო ფოსტიდან ამოგვეკრიბა უფრო ხშირად გახმოვანებული კითხვები და პასუხები მიგვეღო აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისაგან.

დღეს ნომრის სტუმარია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი **ზვიად მხეიძე.**

• ბატონო ზვიად, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, იგივე ჩვენი მკითხველი, დადებითად კი აფასებს იმას, რაც კეთდება ქალაქად თუ სოფლად, მაგრამ ეჭვით უყურებენ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ხარისხს. გვეკითხებიან: აკონტროლებს ვინმეო?

– მოსახლეობას იშვიათად ნამდვილად არ ვხვდებით. არც ერთი პროექტი, იქნება სხვადასხვა ფონდებითა თუ სოფლის მხარდამჭერი პროგრამით დაფინანსებული არ დაგვიწყია მათთან შეთანხმების გარეშე. სარეაბილიტაციო თუ სამშენებლო პროცესების მიმდინარეობას მორიტორინგს უწევს მერიის საზედამხედველო სამსახური. თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, სფეროების კურატორი მოადგილეები თუ პროფილური სამსახურების წარმომადგენლები ადგილზე ვეცნობით და ვაკვირდებით პროცესებს. ვხვდებით და უშუალოდ მშენებელი კომპანიების დირექტორებისგან ვისმენთ საჭიროებებს. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. სახელშეკრულებო პირობების დარღვევის ფაქტის არსებობისას არ ხდება ობიექტის მიღება-ჩაბარება. 2022 წელს სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის მიზეზით ოთხი კომპანია გავუშვით ჯარიმაზე.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით (იგულისხმება 50 000 ლარზე მეტი ღირებულების პროექტები), მოწვეული გვყავს ლიცენზირებული, საექსპერტიზო გამოცდილების მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტებული სპეციალური საზედამხედველო კომისია. სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩადებული პირობებით ხელთ გვაქვს ის ბერკეტი, რომელიც ავალდებულებთ საგარანტიო ვადებში აღმოფხვრან ხარვეზები. ამავდროულად ადგილებზე იმისთვის არიან მერის წარმომადგენლები და დეპუტატები, რომ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას მათ სამოქმედო ზონაში მიმდინარე მოვლენებზე. ცხადია, პასუხისმგებლობა უნდა გააჩნდეს საზოგადოებასაც. კონკრეტული მაგალითებით ჩაგვაყენონ საქმის კურსში და გვისაყვედურონ იმ შემთხვევაში თუ ჩვენი მხრიდან არ იქნება სათანადო რეაგირება.

• წლების წინ ძირაგეულიდან ქალაქში შემოსასვლელი ხიბლავდა სტუმრებს. დღეს აეროდრომიდან გამოსულ ვიზიტორებსა და ტურისტებზე ნამდვილად არ ტოვებს სასიამოვნო შთაბეჭდილებას ეს მონაკვეთი.

– გეთანხმებით, ჩვენც არ გვსიამოვნებს, მას დავამატებდი ვაჟა-ფშაველას ქუჩის გაგრძელებას საზოგადოებრივ ცენტრამდე. რადგან ქუთაისი-ალპანა-ამბროლაურის საავტომობილო გზა არის სახელმწიფოებრივი დანიშნულების, ჩვენს კომპეტენციაში არ შედის მისი მოვლა-შენახვა, ტროტუარის მოწყობა. საკითხი დასმულია შესაბამის უწყებაში და ვიმედოვნებთ, დადებითად გადაწყდება.

• რამდენჯერ უნდა დაირგოს და გახმეს მოურწყველობით ნერგები იგივე აეროდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე ან რეაბილიტირებულ პარკებსა თუ სკვერებში. რა გახდა ერთი სარწყავი მანქანის შეძენა?

– ჩვენი მიზეზით ნამდვილად არ გამხმარა. პასუხისმგებელია შემომტანი კომპანია. შევახსენებთ შეკითხვის ავტორებს, რომ ნერგების გახმობის მიზეზი უფრო უყურადღებოდ გამოშვებული პირუტყვია, რომელთა პატრონების თვითშეგნება ნამდვილად არ პასუხობს ზნეობრივ პრინციპებს.

რაც შეეხება სარწყავ მანქანას და ალბათ სასენიზაციო მანქანაც უნდა დაგემატებინათ, არის ძვირადღირებული სიამოვნება, მაგრამ ამ საკითხზეც სერიოზულად ვფიქრობთ და სამომავლოდ გეგმაც გაგვაჩნია.

• როდის დასრულდება მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირება?

– პროცესი განახლდა, სამუშაოები იწყება კრიხსა და ჟოშხაში, საიდანაც გადაინაცვლებენ ბაჯში და ეტაპობრივად მოიცავს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს.

• როდის მიიღებს აგრარული ბაზარი საბოლოო სახეს?

– გეთანხმებით სერიოზული პრობლემაა. პროცესი გახანგრძლივდა, მაგრამ პროექტი (500 ათასი ლარის ფარგლებში) უკვე შეძენილია. გრძელდება დამატებითი თანხის მოძიება და უახლოეს მომავალში გვექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაზარი.

• რატომ არ იგვება დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ქალაქის ყველა ქუჩა და რატომ არ იწმინდება სანიაღვრე არხები?

– საწყენია, რომ მეეზოვის პროფესიას ჩვენებურები იწუნებენ და კადრების მოძიება ხდება მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან. თუმცა ვცდილობთ პრობლემა გადავჭრათ დასაქმების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა გადანაწილების პრინციპით.

• თურქეთში ახლახანს მომხდარმა მიწისძვრამ მოსახლეობას ბათუმის შარშანდელი შემთხვევაც გაახსენა და გაუჩინა კითხვა: ცნობილი რაჭის მიწისძვრის შემდეგ გამაგრებული საცხოვრებელი კორპუსების მობინადრეების მიერ კედლების გამონგრევისა და აივნების მიშენების პროცესს აკონტროლებს ვინმე?

– გეთანხმებით, რომ საკითხი აქტუალურია. შევისწავლით და სათანადო ღონისძიებებსაც გავატარებთ.

• „სილქნეტი“ კაბელების ჩასადებად, საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხს იყენებს, სადაც უკვე ჩადებულია გაზსადენის მილები. არ ქმნის ეს საშიშროებას?

– ის, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მოხვდა ინტერნეტიზაციის ამ პროგრამაში, მისასალმებელია. იდება ისეთი უსაფრთხო ტექნოლოგიური მასალებით დამზადებული კაბელები, რომ არავითარ საშიშროებას არ ქმნის. ხოლო რაც შეეხება ასფალტის აყრას, ტრასების გადათხრას და სხვა ფაქტებს, კომპანიას ხელშეკრულება ავალდებულებს ყველაფერი აღადგინოს პირვანდელი სახით.

• აგრესიული თაობა ქალაქის ბაღებსა თუ სკვერებში, ქუჩებში აზიანებს ნათურებს, სკამებს, ნარგავებს, შენობების ფასადებს. მოსახლეობა პრინციპულად ითხოვს სათვალთვალო კამერების დამონტაჟებას და საჯარიმო სანქციების ამოქმედებას.

– დიდი მადლობა მათ ამ შემოთავაზებისათვის. ეს უკვე სახელმწიფოებრივად აზროვნებაა. ვაფასებთ მათ მხარდაჭერას. ქალაქის ცენტრში მოქმედი სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება და სათვალთვალო კამერების განთავსებასაც გულისხმობს. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ პრობლემები მოგვარებულია. ვიცით და გათავისებული გვაქვს საზოგადოებაში არსებული აქტუალური თემები, მაგრამ არის ფაქტორები, რაც ბევრ საკითხზე ახდენს გავლენას. ესაა უპირველესად შესაძლებლობები და დრო. ჩვენ გვეჩქარება მაგრამ არც ისტორიული მეხსიერება უნდა იყოს ხანმოკლე. პარალელის გავლებაც უნდა შეგვეძლოს.

წელს კიდევ უფრო მასშტაბური პროექტები განხორციელდება. კიდევ უფრო წავიწევთ წინ. რაშიც უთუოდ გვჭირდება მოსახლეობის აქტიური ჩართულობა და თანადგომა. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ერთად პრობლემებს დავძლევთ. ამბროლაური იქნება კიდევ უფრო კოხტა და კოპწია ქალაქი, ხოლო მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი როგორც ინვესტორებისათვის, ისე ვიზიტორებისათვის.

ჩაიწერა დ. დარახველიძემ

ინფორმაცია

მიმდინარე წლის 14 თებერვალს გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 33-ე (რიგგარეშე) სხდომა,რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე – **ასლან საგანელიძე**. ესწრებოდნენ: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი – **ზვიად მხეიძე** და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

დეპუტატებმა საკრებულოს კომისიებისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების არგუმენტირებული და დასაბუთებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, მხარი არ დაუჭირეს დადგენილების პროექტს – „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში პირველ კლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

ინიცირებული პროექტის ავტორი ფრაქციების – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ამბროლაური საქართველოსთვის“ წარმომადგენლები საკრებულოს სხდომას არ დასწრებიან.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ: მკითხველის მეტი ინფორმირების მიზნით განვმარტავთ, რომ ნებისმიერი პროგრამის შემუშავების წინაპირობაა კვლევა ან სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც დაასაბუთებს კონკრეტული პროგრამის საჭიროებას.

მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია აღნიშნული პროექტის დამტკიცება იმიტომ, რომ პროექტის მიზანი, რომელიც ავტორთა განმარტებით ითვალისწინებს „პირველკლასელ მოსწავლეთა სწავლის ხარისხსა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვას“ ნაკლებად შეესაბამება პროექტის შინაარს და საჭიროებს საფუძვლიან დაზუსტებას. ამასთან მხოლოდ პირველ კლასელთა გამორჩევა თავისთავად განაპირობებს დაწყებითი საფეხურის სხვა მოსწავლეების არათანაბარ პირობებში ჩაყენებას. განსაკუთრებით სოფლებში არსებულ მცირე კონტინგენტიან სკოლებში.

გათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტის სკოლების უმრავლესობაში არ ფუნქციონირებს კვების ობიექტი (ბუფეტი), სადაც ბავშვს საშუალება ექნება იკვებოს ჯანსაღად და შესაბამისი სტანდარტების დაცვით. არსებული რეალობიდან გამომდინარე ბარათების გამოყენების საშუალება ახლომდებარე მარკეტებში მხოლოდ ქალაქ ამბროლაურში და სოფლების მცირე ნაწილშია შესაძლებელი. შესაბამისად შეუძლებელი იქნება თანხის ხარჯვის მიზნობრიობის გაკონტროლება. მითუმეტეს, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცებულია გასული წლის დეკემბერში.

მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტიც, რომ ქვეყნის სკოლებში პროგრამებისა და პროექტების განხორციელება არის განათლების და მეცნიერების სამინისტროს პრეროგატივა. გაეროს ბავშვთა ფონდთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმით სხვა საკითხებთან ერთად უკვე ამ თემაზეც მიმდინარეობს მუშაობა.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს ოცდამეთოთხმეტე მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშები 2022 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ასევე მოსმენილ იქნა და დამაკმაყოფილებლად შეფასდა: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შესყიდვების გეგმის შესრულების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშები, 2022 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მიიღეს დადგენილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“.

თურქეთში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად ჩასულ ქართველ მაშველებთან ერთად, ანთაქიის ჰათაის პროვინციაში, ჩვენებურებიც იყვნენ და ვაჟკაცურადაც მოიხადეს ვალი.

მადლობა მათ, უფალი ჰფარავდეთ მუდამ!

პროექტი მზადაა და ქ. ამბროლაურში, გურგენიძის ქუჩის მიმდებარედ, ე.წ. „ქვაბტკრის“ ტერიტორიაზე ამფითეატრის მშენებლობა იგეგმება, რომელიც მომავალში რაჭის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტი გახდება.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საგამოფენო დარბაზის, სცენის, საპარკინგე სივრცისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობა, ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ამფითეატრი ყოველწლიურად უმასპინძლებს სხვადასხვა ღონისძიებებს, ფესტივალებსა და გალა-კონცერტებს, რაც ხელს შეუწყობს ქართველი და უცხოელი ტურისტების ნაკადის ზრდას და მათთვის ხელსაყრელი გარემოს შეთავაზებას. ეს ყველაფერი დადებითად აისახება ტურიზმის სფეროს განვითარებასა და რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვლილ პრიორიტეტებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სკოლამდელ განათლებას, რომელსაც, როგორც საკრებულოს 32-ე სხდომაზე აღინიშნა, სწორად წარმართავს ა(ა) იპ-ი „ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“. თუ როგორი მეთოდებით და სტრატეგიებით ამაზე წარმოდგენას შეგვიქმნის შემოთავაზებული წერილი.

* * *

პედაგოგიკის სპეციალისტები ბავშვს სუფთა დაფას ადარებენ, მაგრამ უფრო ხშირად „მკვლევარებად“ მოიხსენიებენ. ალბათ იმიტომ, რომ ისინი დაბადებისთანავე ნამდვილი მკვლევარივით ფრთხილად, მოსინჯვით აკვირდებიან ირგვლივ არსებულ შეუცნობელ სამყაროს, რომლის აღქმა-შეცნობაში გადამწყვეტია სწორი მიმართულების მიცემა, რაშიც საპატიო მისია აკისრიათ მშობელს, აღმზრდელს და სკოლას. თუმცა ბავშვის ინდივიდად ჩამოყალიბებაში მაინც გადამწყვეტ როლს თამაშობს სკოლამდელი დაწესებულება. ამ შემთხვევაში საბავშვო ბაღი, რომელიც მუნიციპალიტეტში 14-ია. აქედან 12 შერეული ჯგუფებითაა დაკომპლექტებული, ჭრებალოში ფუნქციონირებს 2 ასაკობრივი ჯგუფით, ხოლო ქალაქის ბაგა-ბაღში 5 ასაკობრივი და 1 შერეული ჯგუფით(ამ ეტაპზე ჟოშხის საბავშვო ბაღის ფუნქციონირება შეჩერებულია).

წელს დარეგისტრირებულია 313 ბავშვი, რომელთაც მყუდრო და კომფორტულ გარემოში 25 აღმზრდელი სთავაზობს იმ მრავალფეროვან სტრატეგიებს, რომლებიც რეკომენდირებულია ადრეული ასაკის მეთოდური სახელმძღვანელოთი ე.წ. „კურიკულუმით“, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვებში როგორც სოციალური და ემოციური უნარების, ისე შემეცნებითი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას.

შორს წაგვიყვანს იმ სტრატეგიების მაგალითების ჩამოთვლა, რასაც აღმზრდელები საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით ახორციელებენ ობიექტური ინფორმაციების ჩაწერით, რეფლექსური დღიურის წარმოებით, სხვადასხვა ტიპის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შემაჯამებელი ღონისძიებების ფარგლებში პროექტის მეთოდის გამოყენებითა და თუ სხვა ხერხებით. მთავარია და შედეგიანია ის, რომ დაკვირვებისა და შეფასების პროცესში ნაწარმოები დოკუმენტაცია პორტფოლიოს მეშვეობით მშობელს საშუალება აქვს უწყვეტად იყოს ჩართული და თვალი ადევნოს შვილის სწავლა-განვითარების პროცესს. მათთან ერთად კალენდარულ, თემატურ, ფიზიკურ და სენსორულ აქტივობებში აქტიურად არიან ჩაბმული აგრეთვე ფსიქოლოგები, ლოგოპედები და მუსიკის მასწავლებლები.

ერთობლივი მუშაობის შედეგი კი ისაა, რომ ბავშვები წარმატებულნი არიან განათლების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. სასკოლო მზაობის ჯგუფებიდან 2022–2023 სასწავლო წელს საზეიმო ვითარებაში იქნა გაცილებული 74 ბავშვი სკოლაში.

როცა საბავშვო ბაღებზეა საუბარი არ უნდა დაგვავიწყდეს უმნიშვნელოვანესი საკითხი – მათი კვება. საბედნიეროდ, მუნიციპალიტეტის ბაღებში ამ მხრივაც, ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, ბავშვთა კვება მრავალფეროვანია. ყოველდღიურ რაციონში საკმარისი რაოდენობითაა შეტანილი ის პროდუქტები, რაც აუცილებელია ბავშვის სრულყოფილი აღზრდა-განვითარებისათვის.

შარშან ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ბიუჯეტი 1102700 ლარს შეადგენდა, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების გეგმა 226460 ლარს. წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 13954 ლარი. 2023 წელს სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობაზე ბიუჯეტით 1363300 ლარია გათვალისწინებული.

მართალია, მუნიციპალიტეტში მოქმედი საბავშვო ბაღების მუშაკები დიდ ენერგიას დებენ აღსაზრდელთა განვითარებაში, მაგრამ ინფრასტრუქტურა ყველგან როდი შეესაბამება ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ეროვნულ სტანდარტებს.

პრობლემად რჩება გადატვირთული ჯგუფები, სტანდარტით გათვლილი სივრცის შეუსაბამობა, შენობის ფასადები, ეზოები და სხვა. მაგალითად, დაზიანებულია და საჭიროებს კაპიტალურ რემონტს ჭრებალოს და სადმელის საბავშვო ბაღების გარე და შიდა კედლები. ჭელიაღელის საბავშვო ბაღში საბედნიეროდ საჭირო გახდა ჯგუფის გაფართოება, ქალაქის ბაგა-ბაღისათვის აუცილებელია სამზარეულოს, საწყობის და სამრეცხაოს მიშენება, რათა დათმობილი ფართის ხარჯზე მოხდეს ჯგუფის გაფართოება.

ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ყოველთვის გვაქვს მხარდაჭერა. ამჯერადაც დაგეგმილია და კლიმატის გაუმჯობესებისთანავე დაიწყება სამუშაოები და წელსვე პრობლემები იქნება მოგვარებული, რაც კიდევ მეტი სტიმული იქნება ჩვენ საქმიანობაში.

ეკა კიბაბიძე,
ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, გასული წლის დასაწყისში გახმოვანებული ამბროლაურში აგრანო ვაჩაძის სახელობის საფეხბურთო სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების, მათ შორის, მინი ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის სტადიონების და ფრენბურთისთვის ქვიშის მოედანის მოწყობის პროექტი დასრულებულია, რომლის ჯამურმა ღირებულებამ 905 555 ლარი შეადგინა.

სპორტული ობიექტი მაჟორიტარმა დეპუტატმა **გოჩა ენუქიძემ**, სახელმწიფო რწმუნებულ **პაპუნა მარგველიძესთან**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერ **ზვიად მხეიძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძესთან** ერთად დაათვალიერა. განხორციელდა აგრეთვე შიდა პერიმეტრზე ბეტონის საფარის ბილიკების დაგება, ტერიტორიის შემოღობვა, განათებების დამონტაჟება და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით მასშტაბური პროექტების განხორციეების მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და სპორტის სხვადასხვა სახეობის ხელშეწყობა, რაც კარგად უნდა გაითავისონ ამ ობიექტებით როგორც მოსარგებლე, ისე დასაქმებულმა პირებმა. გაკეთებულს დაცვა, მოვლა და პატრონობა რომ სჭირდება ამის შეხსენება მათ არ უნდა სჭირდებოდეთ.

სასიამოვნოა, რომ ბოლო წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საკალათბურთო აქტივობა გაძლიერებულია და ჩვენი გუნდები აქტიურად ასპარეზობენ სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში, მაგრამ სათანადო აღჭურვილობის არ ქონების გამო არ იყო იმის საშუალება, რომ ოფიციალური მატჩები გაემართათ საკუთარ დარბაზში.

საბედნიეროდ მდგომარეობა გამოსწორებულია. ქვეყნის კალათბურთის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **შალვა ონიანმა** და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა** ამბროლაურის სასპორტო სკოლას ფიბა-ს სტანდარტების ტაბლო და 24 წამის მთვლელი მოწყობილობა გადასცეს და ამ-იერიდან პრობლემა აღარ იქნება. ითქვა ისიც, რომ რეგიონების განვითარების პროგრამით, როგორც მაღალმთიანი რაჭის საკალათბურთო სკოლები სხვა

კალათბურთი

საჭირო ინვენტარსაც მიიღებენ.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ზვიად მხეიძემ** მადლობა გადაუხადა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ სპორტის განვითარება და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

ჭიდაობა

გორში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, 23 წლამდელებს შორის, ამბროლაურელმა მოჭიდავეებმა წარმატებულად იასპარეზეს. **ვლადიმერ გამყრელიძე** და **გიორგი გოგრიჭიანი** საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. ასევე, წარმატებულად იასპარეზეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს **სანდრო სარდანაშვილმა, საბა კობახიძემ** და **ნიკოლოზ სანთელაძემ**.

ვულოცავთ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠ ᲠᲝᲚᲘ



ამა წლის 26 იანვარი. თბილისი. ეროვნული ბიბლიოთეკა. დარბაზი სავსეა. სცენაზე დგას წიგნის „სამყაროს სამკაული“ ავტორი – ქალბატონი, ჯიშიანი, ეშხით მოსილი, გადამდები ღიმილით, თან მოკრძალებული. არ ვიცოდი, რომ მწერლობის, ჟურნალისტობის გარდა იყო პროფესორი, აკადემიკოსი. უყვარს პოეზია, სიმღერა, კლასიკა, სიყვარულის შემოფეთება... ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ, ზუსტად ვიცი, ამ მიგნებებს ჩავეჭიდები. დიახ, გარეგნობა გამორჩეული, მაღალი, ძლიერი, სული მტკიცე, სალაპარაკო ხმა ლამაზი, სულიდან გამომდინარე. კი, ვიმეგობრებ მასთან, ვარ მისი დამფასებელი. თამამად ვიტყვი, არ მივჩუმათდები: – „შევეგუოთ“, დიდი ქალბატონია.

ნინო რეხვიაშვილი – ჭეშმარიტი ქრისტიანი, თავისუფალი ქართველი ქალი, ეროვნული ცნობიერების, მომავლიდან მოვლენილი. აი, ასეთია.

„პატრიოტიზმი არაფერია, გარდა იმისა, რომ შენი პროფესიით მოემსახურო შენს ხალხს“. ეს ფრაზა რეზო თაბუკაშვილს ეკუთვნის და სწორედაც მიესადაგება ქალბატონ ნინოს. მხოლოდ პირადი ინიციატივაა, ყველასთან მეგობრობას რომ ახერხებს. წერს და კრებს მარგალიტებს, უშუალოდ, სადად, დელიკატურად. 21 წიგნის ავტორი, რედაქტორი, თანაავტორი. ჩვენი გაზეთის რედაქტორს დალის, მე და მარინასაც შეგვეხო მისი კალამი.

იმ დღეს, წიგნის პრეზენტაციაზე, ჩვენ მასთან ვიყავით დედაქალაქში. შემოგვეგება განუმეორებელი ჟესტით: – „ჩემო სამკაულებო, დიდი გზა გამოიარეთ, დაისვენეთ“. ჩვენ დასასვენებლად არ გვეცალა და გულწრფელად, ემოციებით დატვირთულები შევედით სცენაზე „იავნანას“ ნაწილი მომღერლები, მე, ირინა ჩიხრაძე, ხათუნა ოშხერელი, და ხათუნა დარახველიძე, ოთხი ნომრით. სინდისის კარნახით მივეშველეთ ნინოს მოწყობილ საღამოს, რომელიც თავად მიჰყავდა, ყველას ეფერებოდა, წიგნებს სთავაზობდა, იდგა ზეიმი. უფლის ნებით, პასუხისმგებლობის განცდით გავართვით თავი დაკისრებულ მოვალეობას. ბატონი თამაზ დაუშვილი ჩვენს გვერდით იყო.

დიდი მადლობა ქალბატონო ნინო იმ დღისთვის, ნდობისათვის, მასპინძლობისათვის, ქართველ ქალობისათვის! გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას, დედის და ქალთა საერთაშორისო დღეებს.

ირინა ჩიხრაძე, ამბროლაურის კულტურის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ᲗᲔᲨᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ-ᲔᲪᲘᲣᲚᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ (ᲐᲚᲔᲙᲝ) ᲐᲑᲣᲗᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

რა კარგადაა ნათქვამი „მთავარი ის არის ვინ როგორ და ვინ რამდენს იცხოვრებსო“. ალეკო აბუთიძემ ნამდვილად ღირსეულად იცხოვრა. როგორც შვილმა, მეუღლემ, მამამ, პედაგოგმა, მეგობარმა, მოქალაქემ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდა მათემატიკოსმა 1975 წელს ამბროლაურის პირველ საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა და 53 წელიწადი იდგა მობილიზებული და პუნქტუალური ხალხის სამსახურში, როგორც ურავის საშუალო სკოლის დირექტორი, ამბროლაურის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სხვადასხვა წლებში ქალაქის პირველი და მეორე საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილე...

1987 წლიდან 2020 წლამდე იყო ქალაქის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი. 30 წლის პედაგოგიური გამოცდილების მქონეს გააჩნდა მოსწავლეებთან მუშაობის საკუთარი მეთოდები, რომლის მთავარი პრინციპი იყო ობიექტურობა. საზოგადოებრივი დავალებების პუნქტუალური შემსრულებელი, ტაქტიანი, კომუნიკაბელური პიროვნება. შესაბამისად იყო მედლები, სიგელები და რაც მთავარია – აღიარება და ღვაწლის დაფასება.

მეუღლის ელზა გვენცაძის, შვილების ნონა და დავით აბუთიძეების სახით ღირსეული ოჯახი დატოვა. მათთვის, ბუგეულელებისათვის და ყველა იმ ადამიანისათვის, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა, წლევანდელი პირველი მარტი მისი დაბადების დღე დიდ ტკივილთანაა დაკავშირებული, იგი 70 წლის აღესრულა. უკვე წელიწადია, რაც იმიერ საუფლოს შეეხიზნა და წლის ამ ულამაზეს დროის – გაზაფხულის დაწყება მის გარეშე ოჯახის წევრების და მის საახლობლოსთვის ძნელია, თუმცა ნუგეშია ის, რომ მისი სახელი დიდხანს იცოცხლებს, თუნდაც მისი აღზრდილების სახით, რომლებიც უამრავნი არიან და რომელთა მეხსიერებასაც ნათლად ატყვია ალეკო აბუთიძის შეგონებები.

მეგობრები

ჩვენი სკოლის წარმატებების, განვითარების ფუძემდებელი, შეუდარებელი ლიდერი, კოლეგა, პიროვნება ბატონო ალეკო აბუთიძე 1 მარტს 71 წლის გახდებოდა. გვიყვარხარ, გვახსოვხარ და მარადჟამს ასე იქნება.

დაბადების დღეს გილოცავთ, სამწუხაროდ იმქვეყნად.

ქალაქ ამბროლაურის №1 საჯარო სკოლა

რედაქტორი
დალი
დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ჯილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.